



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში Technical Systems and Technologies in Agribusiness
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში Bachelor of Engineering in Agro Engineering
ფაკულტეტის დასახელება	აგრარული
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	ემზარ კილასონია - აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ☎ - 577 13 1876. E-mail: emzar.kilasonia@atsu.edu.ge დავით კბილაშვილი-აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ☎ - 595 30 62 19 E-mail : David.kbilashvili@atsu.edu.ge
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელი, 8 სემესტრი, ESTS კრედიტის რაოდენობა 240, ერთი კრედიტის მოცულობა - 25 საათი, სულ- 6000 საათი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	პროგრამის შემუშავების თარიღია 2011 წელი, განახლების თარიღია 2020 წელი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის /ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.	
პროგრამის მიზნები	
აგრობიზნესში აგროინჟინერიის სფეროსათვის მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ბაკალავრი, თანამედროვე კონსტრუქციების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მანქანური ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების, შეზღუდული საწარმოო რესურსების პირობებში მექანიზებული სამუშაოებისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვის მიმართულებით	
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	
ცოდნა და გაცნობიერება	1. აღწერს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების კონსტრუქციებს, მათი მუშაობის პრინციპებსა და ექსპლუატაციის თავისებურებებს; 2. აღწერს პროგრესული მანქანური ტექნოლოგიების გამოყენებისა და მექანიზებულ სამუშაოთა ჩატარების ხარისხის მართვის მეთოდებს;

	<p>3. განიხილავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ინოვაციურ მეთოდებს;</p> <p>4. აღწერს მანქანათა ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიური ოპერაციების დაგეგმარებისა და ჩატარების რაციონალურ მეთოდებსა და ხერხებს;</p> <p>5. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის პროცესებში განიხილავს ენერგო-რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს.</p>
უნარი	<p>6. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების აგროტექნიკური ოპერაციებისა და მეცხოველეობის ფერმებში მექანიზებულ სამუშაოთა ჩატარებისათვის შეიმუშავებს ახალი ან/და მოდერნიზებული მანქანური ტექნოლოგიების გამოყენების პირობებს;</p> <p>7. ადგენს სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების რაციონალურ შემადგენლობას და ახდენს მათ დაკომპლექტებას, უსაფრთხოების წესების დაცვით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციის პროცესზე ზედამხედველობას;</p> <p>8. საწარმოო რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით ორგანიზებას უწევს აგროტექნიკური ოპერაციებისა და მათი სატრანსპორტო მომსახურების ჩატარებას, აფასებს შესრულებული სამუშაოების ხარისხს;</p> <p>9. ახდენს მანქანათა ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიური ოპერაციების დაგეგმარებას, ორგანიზების უწევს მათი ჩატარებისა და ხარისხის მართვის ღონისძიებებს;</p> <p>10. გეგმავს და ახორციელებს ახალი ან/და გარემონტებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიღება-ჩაბარებისა და ინვენტარიზაციის პროცესს;</p> <p>11. გეგმავს ენერგო-რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებებს და ორგანიზების უწევს მათ განხორციელებას.</p>
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<p>12. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენებით შეიმუშავებს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებებს და ზედამხედველობას უწევს მათ განხორციელებას.</p>
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	
<p>დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/დებატების, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები;</p>	
პროგრამის სტრუქტურა	
<p>პროგრამა შედგება ძირითადი და დამატებითი პროგრამების სასწავლო კურსებისაგან. ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო, თავისუფალი კომპონენტის არჩევითი, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო და ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი; ➤ თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი; ➤ ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 137 კრედიტი; ➤ ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 8 კრედიტი; ➤ Minor -პროგრამა „აგროინჟინერია“-60 კრედიტი; ➤ Minor -პროგრამა „აგროლოგისტიკური სისტემები“-60 კრედიტი. <p>დამატებითი პროგრამის არჩევა ხდება მეორე სემესტრის ბოლოს და სწავლება იწყება მესამე სემესტრიდან. თითოეულ სემესტრში კრედიტების რაოდენობაა 10.</p> <p>სასწავლო გეგმა დანართი 1.</p>	
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები	
<p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:</p> <p>სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;</p> <p>შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;</p> <p>დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.</p>	

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელს შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამის სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

ბაკალავრის დასაქმების ობიექტებია: მექანიზაციის ლოჯისტიკური ცენტრები, სასოფლო-სამეურნეო სააქციო საზოგადოებები და კოოპერატივები, სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ფერმერული მეურნეობები და აგროფირმები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებისა და შენახვის საწარმოები, მეცხოველეობის ფერმები და კომპლექსები, მანქანათა ტექნიკური სერვისის ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საფირმო მომსახურების ორგანიზაციები, ტვირთების გადამზიდავი კომპანიები, აგროინჟინერიის სფეროს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

1. აუცილებელი ადამიანური რესურსი: ბაკალავრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, სასწავლო კურსებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის მქონე 24 სპეციალისტი: 4 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 4 მოწვეული სპეციალისტი, ასევე ენათა ცენტრის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას.

2. სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა: საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სასწავლო კურსების სილაბუსებით, სალექციო კურსებით, ძირითადი სახელმძღვანელოებით და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებით და აუდიო/ვიდეო მასალებით.

3. აუცილებელი მატერიალური რესურსი: პროგრამის განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, ესენია: სასწავლო მასალით უზრუნველყოფილი სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოო ობიექტების ინფრასტრუქტურა და აგრარული ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის კაბინეტ-ლაბორატორიები, მათ შორის:

1. კომპიუტერული კლასები;
2. ტრაქტორებისა და ავტომობილების კონსტრუქციების ლაბორატორია;
3. აგრარული ტექნიკის ლაბორატორია;
4. აგრარული ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის ლაბორატორია;
5. ტექნიკური გაზომვების კაბინეტ-ლაბორატორია;
6. მანქანების მექანიკური გადაცემების კაბინეტ-ლაბორატორია;
7. ზოგადი ელექტროტექნიკის კაბინეტ-ლაბორატორია;
8. მანქანებისა და მექანიზმების კაბინეტ-ლაბორატორია;
9. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების კაბინეტ-ლაბორატორია;
10. საიჟინრო გრაფიკის კაბინეტი.



სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესი
 მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პრ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დამუშავების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამოუკიდებელი		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედური დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები															
1.1	უცხო ენა 1	5	125	60	3	62	0/60/0/0	5								
1.2	უცხო ენა 2	5	125	60	3	62	0/60/0/0		5							1.1
1.3	უცხო ენა 3	5	125	60	3	62	0/60/0/0			5						1.2
1.4	დარგობრივი უცხო ენა	5	125	60	3	62	0/60/0/0				5					1.3
1.5	აკადემიური წერა	5	125	45	3	77	0/0/0/45	5								
	სულ	25	625	285	15	325	0/240/0/45	10	5	5	5					
2	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები															
2.1.	თავისუფალი არჩევანი	5	125	45	3	77						5				
2.2	თავისუფალი არჩევანი	5	125	45	3	77								5		
	სულ	10	250	90	6	154						5		5		
3	ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები															
3.1	მათემატიკა 1	5	125	45	3	77	15/30/0/0	5								

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პრ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამოუკიდებელი		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედური დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
3.2	მათემატიკა 2	5	125	45	3	77	15/30/0/0		5							3.1
3.3	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	125	45	3	77	0/0/45/0	5								
3.4	აგროინჟინერიის საფუძვლები	5	125	45	3	77	30/15/0/0	5								
3.5	ხაზვა და კომპიუტერული გრაფიკა	5	125	60	3	62	15/30/15/0	5								
3.6	აგრონომიის საფუძვლები	4	100	45	3	52	15/30/0/0		4							
3.7	ზოგადი ფიზიკა	4	100	45	3	52	15/30/0/0		4							
3.8	ფიზიკურ სხეულთა მექანიკა	4	100	45	3	52	15/30/0/0		4							3.1
3.9	მანქანათა კონსტრუქციების ელემენტების საინჟინრო გაანგარიშების მეთოდები	4	100	45	3	52	15/30/0/0		4							3.4
3.10	მანქანათა საკონსტრუქციო და საექსპლუატაციო მასალები	4	100	45	3	52	15/16/14/0		4							
3.11	ჰიდრავლიკური სისტემები	3	75	30	3	42	15/15/0/0			3						3.7
3.12	მანქანებისა და მექანიზმების ანალიზი და სინთეზი	4	100	45	3	52	15/30/0/0			4						3.5; 3.8
3.13	მეტროლოგია და ურთიერთმეცვალადობა ტექნიკურ სერვისში	4	100	45	3	52	15/20/10/0			4						3.5; 3.10
3.14	მანქანების მექანიკური გადაცემები	5	125	45	3	77	15/14/16/0				5					3.9; 3.12; 3.13
3.15	ტრაქტორები და ავტომობილები	5	125	60	3	62	30/0/30/0				5					3.11; 3.12
3.16	ტვირთმცოდნეობა და ტვირთების მომზადება გადაზიდვებისათვის	5	125	60	3	62	30/30/0/0				5					3.6; 3.10
3.17	სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანები	7	175	75	3	97	30/35/10/0					7				3.14; 3.15
3.18	დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების	4	100	45	3	52	15/30/0/0					4				3.15; 3.16

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პრ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამოუკიდებელი		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედური დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
	ტექნოლოგია და ორგანიზაცია															
3.19	აგრობიზნესის საფუძვლები	4	100	45	3	52	15/30/0/0					4				3.4; 3.6
3.20	შრომის დაცვა და უსაფრთხოება	5	125	45	3	77	15/15/15/0						5			3.17; 3.18
3.21	მცირე მექანიზაციის საშუალებები სოფლის მეურნეობაში	5	125	45	3	77	15/30/0/0						5			3.17
3.22	სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვები	5	125	60	3	62	30/30/0/0						5			3.15; 3.18
3.23	მოსავლის ამღები მანქანები	5	125	60	3	62	30/30/0/0						5			3.17; 3.18
3.24	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაცია	7	175	75	3	97	30/45/0/0							7		3.21; 3.22; 3.23
3.25	მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია	4	100	45	3	52	15/30/0/0							4		3.17; 3.21
3.26	სოფლის მეურნეობის ეკონომიკა	4	100	45	3	52	15/30/0/0							4		3.19;
3.27	მანქანათა ტექნიკური სერვისი	7	175	75	3	97	30/45/0/0								7	3.4; 3.20; 3.24
3.28	სამთო და სუბტროპიკული მიწათმოქმედების მექანიზაცია	4	100	45	3	52	15/30/0/0								4	3.24
3.29	საწარმოო პრაქტიკა	5	125	75	3	47	0/75/0/0								5	3.24; 3.25; 3.26
	სულ	137	3425	1485	87	1853	525/805/155	20	25	11	20	15	20	15	16	
4	ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები															
4.1	ელექტროენერჯის გამოყენება სოფლის მეურნეობაში	4	100	45	3	52	15/30/0/0									
4.2	თბოტექნიკა და სითბოს გამოყენება სოფლის მეურნეობაში	4	100	45	3	52	15/30/0/0			4						

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პრ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამოუკიდებელი		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედური დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
4.3	სოფლის მეურნეობის საწარმოთა ავტომატიზაციის საფუძვლები	4	100	45	3	52	15/30/0/0									
4.4	ეკოლოგია და გარემოს დაცვა	4	100	45	3	52	15/30/0/0									
4.5	ტვირთების გადაზიდვების ექსპედირება	4	100	45	3	52	15/30/0/0									
4.6	ლოგისტიკის საფუძვლები	4	100	45	3	52	15/30/0/0									
4.7	აგრარული სექტორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები	4	100	45	3	52	15/30/0/0								4	
4.8	რისკების მართვა აგრობიზნესში	4	100	45	3	52	15/30/0/0									
სულ:		8	200	90	6	104	30/60/0/0			4					4	
სულ: ძირითადი პროგრამის კრედიტებისა და საათების განაწილება		180	4500	1950	114	2436		30	30	20	20	20	20	20	20	
დამატებითი (minor) პროგრამა		60														